



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელთა მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 15 იანვარს.

ახალი რედაქციის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსს დაემატება 5051 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამყიდველის ვალდებულებას განვადებით ნასყიდობის დროს დაიცვას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიოებთან, ასევე პირგასამტეხლოს ან ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით.

განისაზღვრა სესხის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზედა ზღვარი, რომლის მიხედვით წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 %-ს.

სესხის შემთხვევაში პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზედა ზღვარი, კერძოდ, ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, ასევე სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის მსესხებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ან ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გაკემული სესხის ნარჩენი ძირი თანხის წლიურ 150 %-ს.

უცხოური ვალუტით ფიზიკურ პირებზე სესხად გაცემა დასაშვები ხდება, თუ გასაცემი სესხის ოდენობა (მათ შორის სესხის თანხის უცხოური ვალუტის მიმართ ინდექსაციის შემთხვევაში)

სესხის გაცემის მომენტისათვის, ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღემატება 100 000 (ასი ათას) ლარს.

სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2 %-ს აღემატება.

სამოქალაქო კოდექსს დაემატა 6281 მუხლი, რომლის მიხედვით, თუ მეწარმე ან ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფი ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან, მაშინ თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ექვივალენტზე) ნაკლები. შეზღუდვა არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო კავშირებზე, საბროკერო კომპანიებზე და ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაზე, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებზე.

ცვლილებების მიხედვით, კოდექსის 868-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

- საბანკო კრედიტის გაცემისას დაცული უნდა იქნას ახალი მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით;
- დადგინდა, რომ ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში“

2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონის ახალი ცვლილებები, რომელთა მიხედვით ეროვნულ ბანკს მიეცემა შესაძლებლობა კიდევ უფრო ეფექტურად იმოქმედოს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

კანონის 34-ე მუხლს დაემატა 21-ე და 22-ე პუნქტები, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან, კერძოდ:

- საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევისას, ასევე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზების ან/და რეკლამირებისას, ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით;
- ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული წესი შესაძლებელია დადგინდეს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

2017 წლის 15 იანვრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკს ეძლევა უფლებამოსილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით დაადგინოს სესხის/საბანკო კრედიტის გაცემისას ან სახსრების მოზიდვისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით შესაძლებელია დადგინდეს სამოქალაქო კოდექსის ახალი ცვლილებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესები.

კანონპროექტი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ახალი კანონპროექტი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ, რომელიც ელექტრონული ხელმოწერისათვის იურიდიული ძალის მინიჭებისა და ქვეყანაში სხვადასხვა სახის კვალიფიციური ელექტრონული მომსახურების დანერგვას ითვალისწინებს.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა ენიჭება. ელექტრონული დოკუმენტებისა და ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა გამარტივდება, რადგან ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელი ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი).

აღნიშნული კანონპროექტი განაპირობებს ცვლილებების შეტანის საჭიროებას სხვადასხვა კანონებშიც, მათ შორის:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება (საქმე №2/6/623) და კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის რიგი ნორმები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებისთვის სახელმწიფო ბაჟის განსხვავებულ ოდენობას განსაზღვრავდნენ, კერძოდ, კანონმდებელი იურიდიულ პირებთან მიმართებით აწესებდა სახელმწიფო ბაჟის უფრო მაღალ ოდენობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივ სტატუსში სხვაობის მიუხედავად, ფიზიკური პირის და იურიდიული პირის საერთო სასამართლოებს საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართავენ და მათთვის კონსტიტუციით თანაბრად დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას ახდენენ. შესაბამისად, სასამართლომ ისინი არსებითად თანასწორ პირებად მიიჩნია. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია, თანასწორად მოეპყროს მხოლოდ არსებითად თანასწორ პირებს.

სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად სამოქალაქო დავებზე სასამართლოს განხილვისას სახელმწიფო ბაჟის დაწესება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს – დაუსაბუთებელი სარჩელებისგან გადატვირთვისგან დაცვას ემსახურება. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელი სარჩელების საფრთხე თანაბრად შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან. შესაბამისად, სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმები კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუმში. ყველა უფლება დაცულია.